ლიტერატურული
ოდისეა

ოლდოს ჰაქსლი

კუნძული

ინგლისურიდან თარგმნა თამარ შანიძემ

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

1

– ყურადღება, – გაისმა მოწოდება, რომელსაც თითქოს მკაფიოდ ამეტყველებული ჰობოი გამოსცემდა, – ყურადღება, – მონოტონურად გაიმეორეს იმავე მაღალი, ცხვირისმიერი ხმით, – ყურადღება!

გამხმარ ფოთლებში გვამივით გაშეშებული, თმაგაწეწილი, უცნაურად მოთხვრილი და სახედალილავებული, ნაფლეთებადქცეულ, ტალახიან ტანსაცმელში შემოსილი უილ ფარნები მოულოდნელობისგან შეკრთა და გონს მოეგო. მოლიმ დაუძახა. დროა, ადგეს და ჩაიცვას. სამსახურში არ უნდა დააგვიანდეს.

– გმადლობ, ძვირფასო, – თქვა და წამოჯდა. მარჯვენა მუხლში მწვავე, გამჭოლი ტკივილი იგრძნო. ზურგი, მკლავები და შუბლიც სტკიოდა, ოღონდ რაღაც სხვანაირად.

– ყურადღება, – ისევ დაჟინებით და მონოტონურად გაიმეორა ხმამ. უილი იდაყვს დაეყრდნო, გაიხედ-გამოიხედა და გაოგნდა, რადგან ლონდონის ბინის საძინებელი ოთახის ნაცრისფერი შპალერის და ყვითელი ფარდების ნაცვლად ტყის მინდორი, ხეების ნაგრძელებული ჩრდილები და მათ შორის ირიბად შეჭრილი დილის მზის სხივები დაინახა.

რატომ თქვა „ყურადღება?“

– ყურადღება, ყურადღება, – დაჟინებით იმეორებდა ხმა, ძალიან უცნაურად და უაზროდ!

– მოლი? – დაეჭვებით წარმოთქვა, – მოლი?

ამ სახელის ხსენებაზე მეხსიერება გაუნათდა. უეცრად ის ძალზე ნაცნობი დანაშაულის გრძნობა დაეუფლა და გული შეეკუმშა, ფორმალდეჰიდის სუნი იგრძნო, მწვანეკედლებიან დერეფანში მის წინ სწრაფად მიმავალი პატარა, მკვირცხლი ექთანი დაინახა და ქალის გახამებული ტანსაცმლის შრიალიც კი მოესმა, – ნომერი ორმოცდათხუთმეტი, – თქვა ექთანმა, მერე შეჩერდა და თეთრი კარი შეაღო. უილი შევიდა, მოლი იქ იყო, მაღალ თეთრ საწოლზე. ნახევარ სახეს დოლბანდის სახვევი უფარავდა, ყბა ჩამოვარდნოდა, ფართოდ დაფჩენილი პირი ღრმულს მიუგავდა.

– მოლი, – დაუძახა უილმა, – მოლი... – ხმა გაებზარა, უკვე ტიროდა, ემუდარებოდა, – ჩემო საყვარელო! – პასუხს არავინ სცემდა. ფართოდ გაღებული პირიდან ხმაურიანი სუნთქვა ისმოდა, აჩქარებული, ზერელე, წყვეტილი, – ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო... – უცებ ხელს, რომელიც უილს ხელში ეჭირა, წამიერად სიცოცხლე დაუბრუნდა. და მერე ისევ მოდუნდა.

– მე ვარ. მე ვარ, უილი.

თითები კიდევ ერთხელ შეირხა. ნელა, როგორც ჩანს, უზარმაზარი ძალდატანების ფასად, ხელი უილის ხელს მყისიერად შემოეჭდო, ბოლოს კი უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა.

– ყურადღება, – გაისმა მონოტონურად, – ყურადღება.

უილი მაშინვე შეეცადა, თავი დაეჯერებინა, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო. მანქანა სველ გზაზე მოსრიალდა და თეთრი ხაზი გადაკვეთა. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გაზეთები ხომ სავსეა ასეთი ამბებით; ამის შესახებ თვითონაც ბევრი რეპორტაჟი გაუკეთებია. „ავტომანქანების პირისპირ შეჯახებას დედის და სამი ბავშვის სიკვდილი მოჰყვა...“ მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი ის იყო, რომ მოლის შეკითხვას, – ჩვენს შორის მართლა ყველაფერი დამთავრდა თუ არაო, –

მან უპასუხა „დიახ“. მთავარი ის იყო, რომ დაახლოებით ერთ საათში, მას შემდეგ, რაც ეს სამარცხვინო პასუხი მიიღო და გარეთ, წვიმაში გავიდა, მოლი სასწრაფო დახმარების პალატაში აღმოჩნდა, მომაკვდავი.

უილს არ შეუხედავს, როცა მოლი წასასვლელად მიბრუნდა, შეხედვა ვერ გაბედა. მისი ფერმკრთალი, გატანჯული სახის კიდევ ერთხელ დასანახად ძალა აღარ ეყო. მოლი წამოდგა და ნელა გადაჭრა ოთახი, ნელა გავიდა მისი ცხოვრებიდან. რატომ უკან არ დააბრუნა, პატიება რატომ არ სთხოვა, რატომ არ უთხრა, რომ ისევ უყვარდა? ჰყვარებია კი ოდესმე?

მეასედ გაისმა მოლაპარაკე ჰობოის მოწოდება ყურადღებისკენ.

ჰყვარებია ოდესმე ნამდვილი სიყვარულით?

– ნახვამდის, უილ, – კარის ზღურბლზე მისკენ მობრუნებული მოლის ჩურჩული გაახსენდა. და ესეც მოლიმ თქვა – წყნარად, გულის სიღრმიდან: – მე მაინც მიყვარხარ, უილ, ყველაფრის მიუხედავად.

წამიც და, მის ზურგს უკან კარი თითქმის უჩუმრად დაიხურა. საკეტმა ყრუდ გაიჩხაკუნა და მოლი გაუჩინარდა.

უილი წამოხტა, კართან მივიდა, გააღო, კიბეზე ფეხის ხმას მიაყურადა. ნაცნობი სუნამოს სურნელი ისე მიილია ჰაერში, როგორც მოჩვენება მამლის პირველ ყივილზე. კარი ისევ დახურა, თავის ნაცრისფერ-ყვითელ საძინებელში შევიდა და ფანჯრიდან გადაიხედა. რამდენიმე წამში დაინახა მოლი, რომელმაც ქვაფენილი გადაჭრა და მანქანაში ჩაჯდა. სტარტერმა ერთიორჯერ მკვეთრად გაიღრჭიალა, მერე ძრავა ამუშავდა. ფანჯარა ხომ არ გააღოს? „მოლი, მოლი, მოიცადე!“ – წარმოსახვაში საკუთარი ყვირილიც მოესმა. ფანჯარა არ გაუღია; მანქანა დაიძრა და კუთხეში შეუხვია. ქუჩა დაცარიელდა. უკვე ძალიან გვიანი იყო. ძალიან გვიანი, მადლობა ღმერთს! ჩაესმა უხეში დაცინვა.

ჰო, მადლობა ღმერთს! დანაშაულის გრძნობა მაინც იქ იყო, გულის კოვზთან. დანაშაული, მტანჯველი სინდისის ქენჯნა, რომელსაც თან შემაძრწუნებელი სიხარული მოჰყვა. ვიღაც მდაბალი, სასტიკი და გარყვნილი, ვიღაც უცხო და საძულველი – ეს ხომ თვითონ იყო – გულში ზეიმობდა, რომ ახლა მისი სურვილების ასრულებას ხელს აღარაფერი უშლიდა. ამ სურვილებში კი სხვა სუნამო იგულისხმებოდა, უფრო ნორჩი სხეულის სითბო და სიმკვრივე. „ყურადღება“, თქვა ჰობოიმ. დიახ, ყურადღება. ყურადღება – ბებსის მუშკის სურნელით გაჟღენთილ საძინებელს, საწოლის მარწყვისფერ-ვარდისფერი ნიშით და ჩარინგ-ქროს როუდზე გამავალი ორი ფანჯრით, რომლებშიც ქუჩის მეორე მხრიდან მთელი ღამე „პორტერის“ ჯინის უზარმაზარი რეკლამის მოკაშკაშე შუქი შემოდიოდა. დიდებული მეწამული ჯინი – და ათი წამის განმავლობაში საძინებლის ნიში იყო წმინდა გული[1], ათი ჯადოსნური წამის განმავლობაში მის სახესთან ბებსის ალმოდებული სახე ისე ვარვარებდა, როგორც სერაფიმი, სიყვარულის შინაგანი ცეცხლით გარდასახული. მერე სიბნელის უფრო ღრმა ფერისცვალება იწყებოდა. ერთი, ორი, სამი, ოთხი... ო, ღმერთო, ოღონდ არასოდეს დამთავრდეს! მაგრამ ზუსტად ათ წამში ელექტრონული საათი ახალი აპოკალიფსის დადგომას ამცნობდა – ამცნობდა ჯოჯოხეთის, გარდაუვალი საშინელების დადგომას, რადგან ახლა წითელ შუქს მწვანე ცვლიდა და ათი შემზარავი წამის განმავლობაში ბებსის ვარდისფერი ნიში სამარეს ემსგავსებოდა, საწოლზე მწოლიარე ბებსს მკვდრისფერი ედო, მისი სხეული კი დაელექტროებული გვამივით იკრუნჩხებოდა. „პორტერის“ ჯინის რეკლამის მწვანე შუქზე მომხდარის დავიწყებაც უჭირდა და საკუთარი თავისაც. ისღა დარჩენოდა, თვალები დაეხუჭა და, თუკი შეძლებდა, ველურად და თავდა-

[1] კათოლიკური თაყვანისცემის გამოხატულება, რომელიც აღნიშნავს ქრისტეს სიყვარულს ყველა ადამიანის მიმართ.

ვიწყებით ჩაძირულიყო ვნების სხვა სამყაროში, იმ უცნაურ სიგიჟეში, რომელიც საწყალი მოლისთვის („ყურადღება!“ მოლი სახვევებით, მოლი ცივ სამარეში ჰაიგეითზე[1] – იმ ჰაიგეითზე, რომლის გამოც იძულებული იყო თვალები დაეხუჭა, როცა მწვანე შუქში ბებსის სიშიშვლე გვამს ემსგავსებოდა) ყოველთვის სრულიად უცხო იყო. და არა მარტო მოლისთვის. თვალდახუჭული საკუთარ დედასაც ხედავდა – კამეასავით ფერმკრთალს, გამუდმებული ტანჯვისგან შთაგონებული სახით, ართრიტისგან არაადამიანურად დამახინჯებული ხელებით. ხედავდა დედას და მისი ინვალიდის ეტლის უკან – დაიკო მოდს, უკვე სიმსუქნემორეულს, ლაბასავით მოცახცახეს, აღსავსეს გრძნობებით, რომლებიც ცოლქმრულ სიყვარულში ვერასოდეს გარდაისახა.

– ეს როგორ ჩაიდინე, უილ?

– ეს როგორ ჩაიდინე? – ექოსავით გაისმა დაიკო მოდის ცრემლნარევი, მთრთოლარე კონტრალტო.

პასუხი არ ჰქონდა. ვერ მოძებნა სიტყვები, რომლებიც შეიძლებოდა მათი თანდასწრებით წარმოეთქვა; ის სიტყვები, რომლებიც ამ ორი მოწამისთვის – უსიხარულო ქორწინებისგან ტანჯული დედისა და მშობლების პატივისცემისგან გაბეზრებული ქალიშვილისთვის – გასაგები იქნებოდა. პასუხის გაცემა მხოლოდ უხამსი, მაგრამ ობიექტური, მიუღებელი, მაგრამ გულწრფელი სიტყვებით შეეძლო. როგორ ჩაიდინა? ჩვეულებრივად, დაუძლეველი ლტოლვის გამო... რადგან ბებსს ჰქონდა ის განსაკუთრებული გარეგნობა, რომელიც მოლის არ გააჩნდა, და კონკრეტულ შემთხვევებში აკეთებდა იმას, რაც მოლის თავში არასოდეს მოუვიდოდა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა; მერე უცებ ისევ გაისმა უცნაური ხმა:

---

[1] ლონდონის ჰაიგეითის სასაფლაო

– ყურადღება. ყურადღება.

ყურადღება – მოლის, ყურადღება – მოდს და დედას, ყურადღება – ბებსს. და უცებ გაურკვევლობის და დაბნეულობის ბურუსიდან სხვა მოგონება ამოტივტივდა. სხვა სტუმარი საძინებლის მარწყვისფერ-ვარდისფერ ნიშში და ბებსის სხეული ახალი საყვარლის ალერსისგან ვნების ექსტაზით მოქცეული. დანაშაულის გრძნობას სულიერი ტანჯვა დაერთო, ყელში ბურთი გაეჩხირა.

– ყურადღება.

ხმა უფრო ახლოს გაისმა, საიდანღაც მარჯვნიდან. უილმა თავი მიაბრუნა, წამოდგომას შეეცადა, რომ უკეთ დაენახა; მაგრამ ხელი, რომელსაც დაეყრდნო, აუკანკალდა და მოუდუნდა. ისევ ფოთლებზე დაეცა. მოგონებებისგან გადაღლილი, იწვა და ნახევრად გახელილი თვალებით დიდხანს აკვირდებოდა გარემომცველ ამოუცნობ სამყაროს. სად იყო? აქ როგორ აღმოჩნდა? თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. იმწუთას ყველაზე მნიშვნელოვანი ეს ტკივილი იყო, ეს საშინელი უძლურება. მაგრამ მაინც საინტერესოა...

მაგალითად, ეს ხე, რომლის ძირშიც (რატომღაც) წევს, ნაცრისფერი ქერქით დაფარული ღეროთი და მზის სხივებით აჭრელებული ტოტების გუმბათით, ალბათ წიფელია. მაგრამ თუ ასეა, – უილი საღად მსჯელობის საკუთარმა უნარმა აღაფრთოვანა, – მაშინ ფოთლები ასეთ მარადმწვანე არ უნდა იყოს. თანაც, რატომ ეყრდნობა წიფლის ხე ფესვებს, რომლებიც მიწის ზემოთაა? ამ ცრუ-წიფლის უცნაური საბჯენების არსებობა როგორ უნდა აიხსნას? უილს უცებ თავისი საყვარელი ლექსის სტროფი გაახსენდა: „მკითხავ: ვინ არის დასაყრდენი ჩემი გონების ავბედობისას?“[1] პასუხი: შედედებული ექტოპ-

[1] პირველი სტროფი მეთიუ არნოლდის ლექსისა „მეგობარს“

ლაზმა[1], ადრეული დალი, რაც ჩილტერნში[2] ყოფნას გადაჭრით გამორიცხავდა. იმავეს გამორიცხავდა ზეთისმაგვარ ბლანტ მზის შუქში მოფარფატე პეპლები. რატომ არიან ასეთი დიდები, რატომ აქვთ წარმოუდგენლად ლაჟვარდოვანი ან შავი ხავერდის, უცნაურად დაწინწკლული და მოხატული ფრთები? წაბლისფერიდან იისფერი ასხივებს, ზურმუხტს, ტოპაზსა და საფირონს ვერცხლის მტვერი მოჰფრქვევია.

– ყურადღება.

– ვინ არის? – უილ ფარნები შეეცადა, ხმამაღლა, რიხიანად დაეყვირა; მაგრამ საცოდავი, დანაწევრებული ჩხავილი აღმოხდა.

ხანგრძლივი და, როგორც მოეჩვენა, ძალზე ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა. ხის ორ ბიჯგს შორის ხვრელიდან უზარმაზარი შავი მრავალფეხა ამოძვრა, მერე მაშინვე უკან მიბრუნდა და წითელი ფეხების სწრაფი მოძრაობით ლიქენით დაფარული ექტოპლაზმის მეორე ნაპრალში გაუჩინარდა.

– ვინ არის? – უილმა კიდევ ერთხელ დაიჩხავლა.

მისგან მარცხნივ ბუჩქები აშრიალდა და იქიდან უცებ, როგორც გუგული საბავშვო საათიდან, ისე გამოხტა დიდი შავი ჩიტი, ჭკის ზომის, ოღონდ ეს ფრინველი, რაღა თქმა უნდა, ჭკა არ იყო. ჩიტმა თეთრბოლოიანი ფრთები შეიბერტყა, ძირს შურდულივით დაეშვა და დაბალი, გამხმარი ხის ყველაზე ქვედა ტოტზე ჩამოჯდა, უილისგან ოციოდე ფუტის დაშორებით. ნარინჯისფერი ნისკარტი ჰქონდა, თვალების ქვეშ – დიდი ყვითელი ლაქები, იადონისფერი რკალები თავზე ყოველი მხრიდან პარიკივით

---

[1] ექტოპლაზმა სპირიტუალიზმში გამოყენებული ტერმინია, რომელიც გამოხატავს მედიუმების მიერ გამოყოფილ ნივთიერებას ან სულიერ ენერგიას. „ექტოპლაზმა“ და „დალი“ სიურრეალისტურ სიტუაციაზე მიუთითებს. ამავე დროს გაურკვეველია, მინიშნება პარანორმალურ ექტოპლაზმაზეა თუ ექტოპლაზმის ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე.

[2] ჩილტერნ-ჰილსი – მაღლობი სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში

შემოხვეოდა. ჩიტმა თავი ასწია და უილს ჯერ მარჯვენა თვალით შეხედა, მერე – მარცხენით. შემდეგ ნარინჯისფერი ნისკარტი გახსნა, სტვენით შეასრულა ათი თუ თორმეტი ნოტისგან შემდგარი პატარა მელოდია პენტატონიურ კილოზე, სლოკინის მსგავსი ბგერა გამოსცა და „დო-დო-სოლ-დო-ს“ მოტივზე დაიწყო სკანდირება: – აქ და ახლა, მეგობრებო; აქ და ახლა, მეგობრებო.

ამ სიტყვებმა გონებაში სასხლეტს გამოჰკრა, და უცებ ყველაფერი გაახსენდა. ის პალაზეა, აკრძალულ კუნძულზე, იქ, სადაც არც ერთ ჟურნალისტს ფეხი არასოდეს დაუდგამს. როგორც ჩანს, ახლა დილაა, წინა საღამოს კი სულელურად თავდაჯერებული, რენდან-ლობოს ნავსადგურიდან ღია ზღვაში იახტით მარტო გავიდა. ყველაფერი გაახსენდა – ქარისგან უზარმაზარი მაგნოლიის ფურცელივით ამობურცული იალქანი, წყლის შხეფების ხმაური იახტის ცხვირთან, ტალღების ქოჩრებზე მბრწყინავი ბრილიანტები, ზვირთებს შორის – დანაოჭებული ნეფრიტის ღრმულები. აღმოსავლეთით კი, სრუტის გადაღმა, პალას ვულკანების თავზე – ღრუბლები, ნაქანდაკევი სითეთრის სასწაული! შტურვალთან მჯდომმა, საჭეს ჩაფრენილმა საკუთარ თავს იმაზე წაასწრო, რომ მღეროდა, და კიდევ იმაზე, რომ უსაზღვროდ, წარმოუდგენლად ბედნიერი იყო.

– „სამი, სამი მეტოქე“, – გაისმოდა სტროფები ქარში.

„ორი ბიჭი ქათქათა, მწვანე შესამოსელში;

ერთი კიდევ – ეული, სამუდამოდ მარტო[1]...“

---

[1] ნაწყვეტი პოპულარული ინგლისური ხალხური საშობაო ჰიმნიდან (Green Grow the Rushes...) თორმეტი მოციქულის შესახებ. „სამის“ თაობაზე განსაზღვრული მოსაზრება არ არსებობს; „ორი ბიჭი ქათქათა, მწვანე შესამოსელში“ – შეიძლება იგულისხმებოდნენ წინასწარმეტყველები მოსე და ელია თეთრ ტანსაცმელში; „მწვანე“ შესაძლოა მოწაფეების მიერ ხის ტოტებისგან შეკრული კარავია; „ერთი“ კი, როგორც ჩანს, ღმერთზე მიუთითებს. აქ და ქვემოთ ყველა ლექსის თარგმანი (სადაც მთარგმნელი მითითებული არ არის) ეკუთვნის თ. შანიძეს.

ჰო, მარტო. მარტოდმარტო უმშვენიერეს, თვალუწვდენელ ზღვაში – „სამუდამოდ მარტო“.

ამის შემდეგ კი, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც ყველა გამოცდილი და წინდახედული იახტსმენი აფრთხილებდა. თითქოს არსაიდან მოვარდნილი შავი შტორმი, გამძვინვარებული ქარი, თავსხმა, ზვირთები...

– აქ და ახლა, მეგობრებო, – დაიძახა ჩიტმა, – აქ და ახლა, მეგობრებო.

ყველაზე უცნაურად ის ეჩვენებოდა, რომ აქ იყო, ტყეში, და არა იქ, პალას სრუტის ფსკერზე, ან კიდევ უარესი, კლდეების ძირში, ნაფლეთებად ქცეული; რადგან ყველაფერი მას შემდეგაც კი არ დამთავრებულა, როდესაც რაღაც სასწაულით შეძლო ჩასაძირად განწირული იახტის ზვირთებში გატარება და პალას უკიდეგანო კლდოვანი სანაპიროს ერთადერთ ქვიშიან მეჩეჩზე დასმა. კლდეების ძირში აღმოჩნდა; ზღვის პატარა უბის ბოლოდან ზემოთ ღრმა, ვიწრო და ციცაბო ხეობა მიემართებოდა, რომლის ფსკერზეც ზემოდან მომდინარე წყლის ნაკადი პატარა, გამჭვირვალე ჩანჩქერების წყებას ქმნიდა, ხოლო ნაცრისფერი კირქვის ფერდობებს შორის სივრცე ხეებით და ბუჩქნარით იყო დაფარული. ექვსასი ან შვიდასი ფუტის სიმაღლეზე ავიდა ჩოგბურთელის ფეხსაცმელებით, წყლისგან მთლიანად მოლიპულ კლდეზე. და მერე, ო, ღმერთო! ეს გველები! შავი გველი სწორედ იმ ტოტზე იყო შემოხვეული, რომელსაც ზემოთ ასასვლელად სტაცა ხელი. ხუთი წუთის შემდეგ კინაღამ კლდის შვერილზე რგოლებად დახვეულ უზარმაზარ მწვანე გველს დაადგა ფეხი. საშინელებებს ბოლო არ უჩანდა. გველის დანახვაზე შიშისგან შეხტა, ფეხი უკან გასწია და ამ მოულოდნელმა, უნებლიე მოძრაობამ წონასწორობა დააკარგვინა. გრძელი, შემზარავი წამის განმავლობაში, მოახლოებული სიკვდილის შეგნებით, ციცაბო ფლატეზე შეტორტმანდა და დაეცა. ეს სიკვდილია, აღსასრუ-